21/03/2020

გიორგი გახარია დარწმუნებუბლია, რომ მთავრობას ეკლესიასთან კომუნიკაციაში სერიოზული პრობლემები არ შეექმნება

პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია დარწმუნებუბლია, რომ მთავრობას ეკლესიასთან კომუნიკაციაში სერიოზული პრობლემები არ შეექმნება.

ჟურნალისტების კითხვაზე, 19 აპრილს, აღდგომის დღესასწაულზე თუ როგორ იქნება ტაძრებში საგანგებო მდგომარეობით გათვალისწინებული პირობები გათვალისწინებული, გიორგი გახარიამ განაცხადა, რომ მთავრობის ვალდებულება მოქალქეების ჯანმრთელობის დაცვაა და მისივე განმარტებით, ეკლესიის მიზანიც იგივეა.

„საქართველოს მთავრობას და ხელისუფლებას ვალდებულება აქვს იმის, რომ ადამიანების ჯანმრთელობაზე იზურონოს. მიუხედავად იმისა, რომ უდიდეს პატივს ვცემთ ჩვენ ტრადიციებს, ჩვენს რწმენას, ჩვენს ეკლესიას, ჩვენი უპირველესი ვალდებულება ჩვენი მოქლაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლეა. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობა და სიცოცხლე

დავიცვათ და შევქმნათ ყველა პირობა, რომელიც მისცემს ჩვენს მოქალაქეებს მეტ-ნაკლებად უსაფრთხო გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ეკლესიის მიზანიც არის იგივე, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ კომუნიკაციაში სერიოზული პრობლემები არ გვექნება“, – განაცხადა გახარიამ.

— dogma.ge